



სტრასბურგის  
სასამართლომ რუსეთს  
250 ათასი ევროს  
გადახდა დაავალა

A4



ავტომობილი

A7



ხელისუფალი და  
პეიოქმედი

B1

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამგაზეთო, 31 იანვარი, 2006 წელი. №20 (1172)

ფასი 50 თეთრი

## ახვები

რვენი ქალაქის  
საგანგებო  
ეკონომიკური  
სურათი

თბილისის რამდენიმე უბანში სამარშუტო ტაქსების აკრძალვის შემდეგ, ჯერი ტროლეიბუსების გაუქმებაზე მიდგა. ამის შესახებ პირველი განცხადება ქალაქის მთავრობამ გასულ წელს გააკეთა. თბილისის ცენტრალური ქუჩებიდან ტროლეიბუსების გაუქმების საკითხს ქალაქის მერიაში დადებითად აფასებენ. ეს, ერთი შეხედვით, უმტკივნეულო გადაწყვეტილება სოციალურ პრობლემასაც ქნის.

A2



ქვეყნის მკითხველებო!  
"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის" (CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოცემა კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს. ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე [www.iwpr.net](http://www.iwpr.net) განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ენევიტ ინტერნეტგვერდს: <http://www.iwpr.net/sub-form.html>

AB

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლავს ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენელი საფრანგეთში.

## აჩინდი

	31/01	1/02
თბილისი	-3	2
ტყიბული	-3	2
სოხუმი	-2	1
ღვინისი	-11	-5
გორი	-5	0
ონი	-12	-6
ზუგდიდი	0	3
ახმეტა	-3	3
ბაზრა	-1	0
სამტრედიანი	1	4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7981
ევრო	2.1824
ბრიტანული სტერლინგი	3.1765
რუბლი	0.0633

ახვები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
საზოგადოება	A 5
სპორტი	A 6
ავტომობილი	A 7
პროექტი	A 8
ტენიანი	B 2-B 7
სხვადასხვა	B 8

# ძველი და ახალი რუსული პანტაჟი

პუტინი: "კოსოვოს პრეცედენტი პოსტსაბჭოთა კონფლიქტებზე უნდა გავრცელდეს"

ერთ კვირის განმავლობაში გადატანილმა უმწვევარებელმა საქართველოს, სიძნელეების გარდა, ერთი მნიშვნელოვანი წარმატებაც მოუტანა – გაზის საკითხით შანტაჟი რუსეთის მხრიდან სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდა. თუმცა, კრემლი ამჟამად საქართველოსა და ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნის შანტაჟის ახალ საშუალებად "კოსოვოს პრეცედენტს" განიხილავს. მინიმუმებს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ რუსეთის პრეზიდენტი პირველად აკეთებს.

## დინიერი ავალიანი

"ლიბერალური იმპერიის" კრახი

მუქარა, საქართველოსთვის გაზის გადაკეტილსა და ელექტროენერჯის გათიშვის თაობაზე, წლების განმავლობაში რუსეთის სხვადასხვა რანგის პოლიტიკოსთა მხრიდან პერმანენტულად ისმოდა. რუსეთის პროპაგანდაში საკუთარი მოსახლეობაც დაარწმუნა იმაში, რომ საქართველოზე და სხვა "ურჩ" ქვეყნებზე ზემოქმედების გამანადგურებელ იარაღს ფლობს ენერჯორუსების სახით, რომლის გამოყენების შემთხვევაში რუსეთის ნებას ნინ ვერავინ ალუდებდა.

დღეს ქვეყნებს ასევე ენერჯორუსების "საბაზრო ფასებზე გაცილებით იაფად" მიწოდებასაც აყვებდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 22 იანვარს თავის სკანდალურ განცხადებაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს "სხვის ხარჯზე ცხოვრებას" კი დაბარალა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც 2006 წლის 1 იანვრიდან "გაზპრომმა" დღეს-სამდღეობაში ახალი "საბაზრო" პოლიტიკა გამოაცხადა და კავკასიის რეგიონისთვის ბუნებრივი გაზის ერთიანი "საბაზრო" ფასი 110 დოლარით განსაზღვრა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების "მუქთახორბაზე" აქცენტის გაკეთება ცოტა უხერხული გახდა.

მას შემდეგ, რაც "გაზპრომი" უკრაინასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებისას სკანდალში გაეხვია, რომლის შედეგები საკუთარ თავზე ევროპის ქვეყნებმაც იგრძნეს, ენერჯეტიკული უსაფრთხოების საკითხი როგორც პოსტსაბჭოთა, ისე ევროპული ქვეყნებისათვის მეტად აქტუალური გახდა. აქტიურად მსჯელობდნენ ამ თემაზე საქართველოშიც, რომლის ხელისუფლებამაც "გაზპრომთან" ახალი კონტრაქტი "საბაზრო" ფასებით გაზის მონოდებაზე უპრობლემოდ გააფორმა, ქვეყანა კი ასი პროცენტით რუსული გაზის მონოდებაზე იყო დამოკიდებული.

ბაზრძალვა A3 ბაზრძალვა

# რუსი მწვრთნელი და ბრაზილიური ნახევარდაცვის

"დინამო" კვიპროსულ ტურნეში მიემგზავრება



ბრაზილიელები უკვე თბილისში არიან.

# პალესტინის ლიდერი დასავლეთს ლოიალური დამოკიდებულების შენარჩუნებას სთხოვს

მას შემდეგ, რაც დასავლურმა სამყარომ პალესტინის ავტონომიის კეთილგონიერებისაკენ მოწოდება, ხოლო ნინალმდეგ შემთხვევაში ფინანსური დახმარების შეწყვეტა აღუთქვა, პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი ოფიციალური მიმართებით გამოვიდა. დონორი-ქვეყნებისადმი აბასის თხოვნა კი პალესტინის საპარლამენტო არჩევნებში "ჰამას"-ის გამარჯვების გამო ზურგსუქების პოლიტიკაზე უარის თქმით გამოიხატება.

შარდაჭერის შენარჩუნების შესახებ განცხადება მაჰმუდ აბასმა რამალაში გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

ბაზრძალვა A3 ბაზრძალვა



მერკელი პალესტინაში ჩავიდა.

# საქართველოში მოხარებაზე გაზს უკვე ეროვნება აქვს

ოთხი დღე ქვეყნის ენერჯომომარაგების სრულ დატვირთვამდე

საქართველოში შემოსულ ბუნებრივ გაზს უკვე ეროვნება აქვს - რუსული, ირანული ან აზერბაიჯანული. ამჟამად საქართველოში გაზის სწორედ ამ სამი ქვეყნიდან შემოდის. ეს ფაქტი ენერჯეტიკის მინისტრის იმის ხმაშია, თქმის საშუალებას აძლევს, რომ საქართველო ბუნებრივი გაზის გარეშე მუშაობდეს და არა, ამის შესახებ ნიკა გილაურმა მარნეულში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გაზის ონკანის მოუქმედებელ განცხადებას. ქვეყანაში ირანული გაზის იმპორტი დაიწყო. მთავარი მსოფლიო გაზგაწარმელია: საქართველო "ყველას" დაანახა, რომ მისთვის ირანული გაზიც კი ხელმისაწვდომია.

## დინა რაია

"მას შემდეგ, რაც რუსეთი დარწმუნდა, რომ საქართველო ირანულ გაზს მიიღებდა, მაკინტრალურ გაზსადასრულები დაიქარა. მარტოა, ირანიდან ბუნებრივ გაზს საგანგებო სიტუაციაში, მცირე პერიოდით ვიღებთ, მაგრამ მისი მიღების პერსპექტივა მომავალშიც არსებობს. რაც მთავარია, ქვეყანას საშუალება აქვს, გაზი სამი წყაროდან მიიღოს. ამით მას დივერსიფიკაციის საშუალება ექნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო გაზის გარეშე აღარასოდეს დარჩება," - განაცხადა გუშინ ნიკა გილაურმა ირანული გაზის იმპორტის დაწყების შემდეგ. მისივე თქმით, ირანული გაზის მოცულობა ქვეყნის მოხმარების 30-35 პრო-

ცენტს დააკმაყოფილებს, მისი იმპორტი 10-15 დღეს გაგრძელდება და მას აღმოსავლეთ საქართველოში საქართველო დღე-ღამეში 2 მილიონ კუბურ მეტრ ირანულ ბუნებრივ გაზს მოიხმარებს. რუსული გაზის იმპორტის განახლება შესაძლებელი გახდება ქუთაისში, გორში, თელავსა და რუსთაველი გაზომომარაგების განახლება. "სამ-ოთხ დღეში ბუნებრივი გაზის მთელი საქართველო დაიტვირთება," - დასძინა ქვეყნის მთავარმა ენერჯეტიკოს-მა ნიკა გილაურმა გაზის ონკანის გახსნის შემდეგ. კრძომ, გუშინ 30 პროცენტით დაიტვირთა ქუთაისი, გორი, ხაშური, რუსთავი, სამტრედიო და ვანის რაიონები, ხოლო 70 პროცენტით - ბორჯომი და ბაკურიანი.

ბაზრძალვა A3 ბაზრძალვა

# ირანი ბუნებრივი გაზის მარაგებით მსოფლიოში მორა ადგილზეა

სამთავრობო პრეზენტაციის შემდეგ, 35-წლიანი შესვენება დამთავრდა და ირანულმა გაზმა აზერბაიჯანის გავლით საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა. ირანული გაზი, 2 მილიონი კუბური მეტრი დღე-ღამეში, საქართველოში 15 დღის განმავლობაში შემოვა. გაცილებელი ინფორმაციით, საქართველო 1000 კუბურ მეტრ ირანულ გაზში 120 დოლარს გადაიხდის, რაც რუსული გაზის ფასს 10 დოლარით აღემატება. თუმცა, "24 საათს" გაზის საერთაშორისო კორპორაციაში განუცხადეს, რომ საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა და ირანის გაზის ეროვნულ კომპანიას შორის მონოპოლიზაციაზე განუცხადეს, რომ საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა და ირანის გაზის ეროვნულ კომპანიას შორის მონოპოლიზაციაზე ურთიერთსადასრულებელი პირობებით წარმართა. გაცილებელი მოკლევადიანი ხელშეკრულების თანახმად, 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ფასი კონფიდენციალურია და, ამდენად, უცნობია იმ თანხის რაოდენობა, რასაც ქართული მხარე გადაიხდის. როგორც ირკვევა, ირანული გაზის შესასყიდი ფასი სამომხმარებლო ტარიფზე არ არისაზეა. მთელ მსოფლიოში ირანი, რუსეთის შემდეგ, ბუნებრივი გაზის ყველაზე დიდ მარაგებს ფლობს. ირანის ნავთობის სამინისტროს დღე-ღამეში, ირანის გაზის მარაგი 26 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, რაც მსოფლიო მარაგების 18 პროცენტია. აღნიშნული მარაგების ნაწილი განთავსებულია ხმელეთზე და სარსეთის ყურის შეღწევაზე. ექსპერტების შეფასებით, ირანული ბუნებრივი გაზის მდიდარია გაზის კონფიდენციალური, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნიადაგი მალე ხარისხით გამოიჩნება. ირანის ხელისუფლების მთავარი მიმართულება ირანული გაზის მსოფლიო ბაზარზე გატანაა. ირანი აქცენტს მეზობელი ქვეყნების - თურქეთის, პაკისტანის, ინდოეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს - ბაზრებზე აკეთებს.

ბაზრძალვა A3 ბაზრძალვა

# "პატიმარება სარიოხული ბუნების მოწყობა სცადას, თამსა არ გამოუვიდა"

ასეთი შეფასება მისცა სასჯელალსრულების დეპარტამენტმა რუსთავის პირველ კოლონიაში მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც ერთი მსჯავრდებული და სასჯელალსრულების დეპარტამენტის ერთი თანამშრომელი დაიჭრა.

რუსთავის N1 კოლონიის შენობასთან გუშინ მთელი დღის განმავლობაში ხმაური იყო. პატიმრების მშობლები და ახლობლები მომხდარი ინციდენტის დეტალებს გარკვევას და ზუსტი ინფორმაციის მიღებას ცდილობდნენ. როგორც იქ შეკრებილები აცხადებდნენ, დაახლოებით დღის ბოლოს საათზე მათ კოლონიიდან პატიმრებმა დაურეკეს და შეატყობინეს, რომ საკნებში სპეცდანიშნულების რაზმის წევრები შეიჭრნენ და პატიმრებს სასტიკად გაუსწორდნენ.

მომხდართან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი ინფორმაცია ვრცელდებოდა. ერთ-ერთი ინფორმაციით, კოლონიაში მრავლად იყვნენ სპეცრაზმელთა თავდასხმისგან დამავეებული პატიმრები; ასევე, გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ციხეში

მომხდარი ინციდენტის პროვოცირება თავად სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია მოახდინა, რომელიც, ასევე, გავრცელებული ხმებით, გვიან ღამით მივიდა რუსთავის კოლონიაში ნასვამი, შამპანურის ბოთლით ხელში და პატიმრები გააღვიძა.

სასჯელალსრულების დეპარტამენტში ყველა ვერსია კატეგორიულად უარყვეს და განმარტეს, რომ პატიმრების ცემისა და მათზე განხორციელებული ძალადობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერებოდა. სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები ინწმუნებოდნენ, რომ რუსთავის N1 კოლონიაში გამოთენიისა პატიმრებმა ბუნტი მოახწყეს.

ბაზრძალვა A4 ბაზრძალვა



# ძველი და ახალი რუსული მანტაჟი

პირველი გავრცელება

22 იანვარს, საქართველოში უპრეცედენტო ყინვების დროს მომხდარი ენერგოდივერსიის შემდეგ, რომელსაც რუსული მხარე - იდუმალ ტერორისტებს, ხოლო ქართული მხარე - უშუალოდ რუსეთის ფედერაციას აბრალებს, საქართველომ ენერგომომარაგების ყველა შესაძლო ალტერნატიული ხერხი გამოიყენა და ახლების ძიება დაიწყო. ავითქვბების შემდეგ აღმოჩნდა, რომ, თურმე, ზამთრის სეზონში რუსეთიდან შემომავალი ელექტროენერჯია, ნინა წლებისგან განსხვავებით, საქართველოს მოთხოვნების მხოლოდ 6 პროცენტს აკმაყოფილებდა და მის გათიშვას სერიოზული შედეგები ვერ მოჰყვებოდა. აღმოჩნდა ასევე, რომ აზერბაიჯანიდან შემომავალი ძველი საბჭოთა გაზსადენი სრულ წესრიგშია, და რომ, სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის, საქართველოს აზერბაიჯანთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული გაზის გარკვეული რაოდენობის მონოდების შესახებ.



მომავალი წლიდან შაპ-დენიზის გაზსადენი ამოქმედდება, რომლიდანაც საქართველო თავისი მოთხოვნების დაახლოებით 40 პროცენტს მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო რუსულ გაზს მომავალშიც შეიცილებს, თუმცა მასზე დამოკიდებული აღარ იქნება. "ლიბერალური იმპერიის" კონცეფციამ, რომელიც რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გატარებას ენერგომომარაგებით მანიპულირების მეშვეობით გულისხმობს, და რომლის განხორციელებაც რუსეთმა ბოლო პერიოდში, ფაქტობრივად, დაიწყო, პრაქტიკული განხორციელების პირველივე მცდელობაზე მარცხი განიცადა. რუსეთთან "გაზის ომში" რეალურად საქართველომ გამარჯვება. "გაზის იარაღი", რომელზეც რუსეთი ასეთ იმედს ამყარებდა, ისეთი იარაღი აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ ერთხელ ისვრის. იმი-

ტომ, რომ ასეთი შეტყევის მსხვერპლი უმაღლეს რუსეთზე დამოკიდებულების ალტერნატივის ძიებას იწყებს და, ადრე თუ გვიან, პოულობს კიდევ ერთ, ალტერნატივას. ზურუნავს რუსეთზე დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებიც იწყებენ, რაც "ლიბერალური იმპერიის" იდეას, ოდესმე, საბოლოოდ დაასაბამებს. საქართველოს მისამართით გაკეთებულმა გასროლამ მიზანს ვერ მიაღწია, და რუსული "სუპერირალი" სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა.

## კოსოვო - მანტაჟის ახალი თემა

როგორც აღმოჩნდა, პოსტსაბჭოთა სეპარატისტების ტრადიციული მხარდამჭერი რუსეთი მნიშვნელოვან იმედს კოსოვოს სტატუსის შესახებ მოლაპარაკებებზე ამყარებს, რომელიც უახლოეს ხანში უნდა დაიწყო. ამ მოლაპარაკება-

ში მონაწილეობა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა უნდა მიიღოს, რომელმაც რუსეთის პოზიცია უნდა დააფიქსიროს. ეს პოზიცია კი გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გაახმოვანა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ კოსოვოს თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები "უნივერსალურ ხასიათს" უნდა ატარებდეს.

"ეს ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია არა მხოლოდ სერბთა შიშის საპირისპიროდ, არამედ სერბთა შიშის საპირისპიროდ, არამედ სერბთა შიშის საპირისპიროდ... პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა კონფლიქტი მოგვარებული არ არის. ჩვენ არ შევცდილა ვიაროთ იმ გზით, როდესაც ერთ ადგილას ერთ პრინციპს გამოიყენებთ, მეორე ადგილას კი - სხვას," - განაცხადა პუტინმა სერბების შემადგენლობაში ფორმალურად მყოფ კოსოვოზე საუბრისას, რომლის დამოუკიდებლობის აღიარებაც კონფლიქტის მონესრისთვის ერთ-ერთ ვარიანტად საერთაშორისო დონეზე განიხილება.

ამავე დროს, რუსულ მედიასთან საუბარში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპის საკითხებში როზმარი დი კარლომ განაცხადა: "მეგვანია, რომ კოსოვოს სიტუაცია და თავად კოსოვო, როგორც მოვლენა, უნიკალურია. კოსოვოში შექმნილი სიტუაცია იუგოსლავიის ძალისმიერი დაშლის შედეგია. საერთაშორისო თანამეგობრობამ კოსოვოში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის ზომები მიიღო, რადგან მილოშევიჩმა გაეროს რეზოლუცია დაარღვია. რაც შეეხება სხვა გაყინულ კონფლიქტებს, სხვადასხვა, რომ მათ მიმართ გაეროს რეზოლუციები გამოყენებული არ ყოფილა."

ამგვარ მოსაზრებებს რადიკალურად ეწინააღმდეგება პუტინი. მისი თქმით, "ზოგიერთი ჩვენი პარტნიორი ცდილობდა, დოკუმენტი ჩაედოთ თეზის იმის შესახებ, რომ კოსოვო უნიკალური მოვლენაა და პრეცედენტებს არ ქმნის... რისკენ მივყავართ ამ უნიკალურობას, ყველა კარგად გვესმის."

ანუ პუტინს ესმის, რომ კოსოვოს აღიარების შემთხვევაში მისი "უნიკალურობა" პოსტსაბჭოთა სეპარატისტული ანკლავების - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის აღიარებაზე უარის თქმას ნიშნავს. ანუ, როგორც გუშინ გაირკვა, რუსეთი დასავლეთის ამ პოზიციას ეწინააღმდეგება. და, როგორც ჩანს, მოლაპარაკებებზეც ამ ხაზს გაატარებს - კოსოვოს აღიარება, რასაც პოსტსაბჭოთა სეპარატისტების აღიარებაც უნდა მოჰყვებოდეს.

თუმცა, რეალურად აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, თუნდაც "კოსოვოს პრეცედენტის" მოშველიებით, რუსეთს არაფერს მოუტანს. მით უმეტეს, დასავლეთის ქვეყნების მხრიდან ნინააღმდეგობის ფონზე. რუსეთის რეალური ინტერესი არსებულ სტატუს-კვოს უფადოდ შენარჩუნებაა. საქვეთა, რომ რუსეთი, რომელიც საკუთარ რეგიონებსაც ცუდად აკონტროლებს, ასეთ ნაბიჯზე წავიდეს, მაგრამ თავად სეპარატისტული რესპუბლიკების აღიარების თემა საქართველოს და მოკლევადიან (და შესაძლოა, აზერბაიჯანზეც) ახალი მანტაჟის განხორციელების საშუალება გახდება. და კრემლი ამ თემაზე სპეკულირების საშუალებას "ურჩ" ქვეყნებზე მოქმედების მიზნით ხელოდან არ გაუშვებს. მით უმეტეს, რომ გუშინ პუტინმა ამ თემაზე სპეკულირება უკვე დაიწყო.

ახსოვთ

## კონდოლიზა რაისი ლონდონს სტუმროს



აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გუშინ ლონდონში ჩავიდა, სადაც ახლო აღმოსავლეთის პრობლემებისა და ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული კრიზისის მოგვარების საკითხზე მოლაპარაკებები გაიმართება.

ვიზიტის პირველივე დღეს რაისი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ე.წ. ახლო აღმოსავლური "კვარტეტის" - აშშ-ს, რუსეთის, ევროკავშირისა და გაეროს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს პალესტინის ავტონომიის საპარლამენტო არჩევნებში ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასის" გამარჯვებით რეგიონში შექმნილი სიტუაცია. თათბირის მიზანი იყო იმ სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის განახლებას. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს პალესტინის

ტერორისტული დაჯგუფებისა და ან უკვე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული "ჰამას"-ის მიმართ წაყენებული მოთხოვნების ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული კრიზისის მოგვარების საკითხზე მოლაპარაკებების გაიმართება. აშშ და ევროკავშირი პალესტინის უმსხვილესი სპონსორები არიან, მათი სუბსიდიები წელიწადში 1 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

გარდა ამისა, აშშ-ს, რუსეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებებთან შეხვედრებში ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი ვითარებაზეც იმსჯელებს.

აშშ, საფრანგეთი და ბრიტანეთი "ირანული დოსიეს" გაეროს უშიშროების საბჭოსთვის გადაცემა მოითხოვენ, რასაც რუსეთი ლეგებმა განიხილეს პალესტინის

## პალესტინის ლიდარი დასავლეთს ლოიალური დამოკიდებულების შენარჩუნებას სთხოვს

პირველი გავრცელება

"მას შემდეგ, რაც დასრულდება პალესტინის ახალი ხელი-სუფლების ფორმირება, მათი მოუწევი ძალადობის დაგეგმვა და ისრაელის სახელმწიფოებრივი უფლების აღიარება," - აღნიშნა ანგელა მერკელმა.

იმ შემთხვევაში, თუკი "ჰამას"-ი არ შეწყვეტს ისრაელის წინააღმდეგ აგრესიას, პალესტინისთვის დახმარების აღმოჩენის სურვილი აღარავის ექნება. როგორც ცნობილია, ევროკავშირი ყოველწლიურად პალესტინის ავტონომიისათვის 636 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. ამდენად, ავტონომიას არ უნდა უღირდეს უახლოესი დროის დაკარგვა და სხეულსი დონორის დაკარგვა ძალადობრივ მისწრაფებებზე მიდრეკილების ქონის ხანაცვლად.

ევროკავშირის ფინანსური დახმარების დაკარგვა, როგორც ჩანს, არც "ჰამას"-ს აძლევს ხელს, რადგან პალესტინის ახალი არმიის ფორმირების შესახებ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთაგან უკვე ერთი საინტერესო მიმართულებაც გაიხსნა.

"ჩვენ მოვიწოდებთ პალესტინელთა პრიორიტეტებისადმი გულსხმიანი დამოკიდებულებისაკენ. განაგრძეთ ჩვენთვის

მორალური და ფინანსური დახმარების აღმოჩენა. ასეთი დამოკიდებულებით თქვენ რეგიონში სტაბილურობას შეუწყობთ ხელს და არა ძალადობას და ზეწოლას," - განაცხადა "ჰამას"-ის ერთ-ერთმა ლიდერმა ისმაილ ხანიამ.

დასავლეთის მიერ გამოთქმული ვაჭრობის შეწყვეტისაგან განსხვავებით, ურყევი პოზიცია აქვს ისრაელს, რომელიც არათუ ეწინააღმდეგება დახმარების აღმოჩენას არ აპირებს პალესტინისთვის, არამედ საპარლამენტო არჩევნებში "ჰამას"-ის გამარჯვების შემდეგ აღარც საბაჟო მოსაკრებელს გადაუხდის ავტონომიას, რაც ამჯერად 35 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ისრაელი მიშობს, ეს თანხები "ჰამას"-ის ახალი თავდაცვლების დაფინანსებას არ მოხმარდება.

"ჩვენ გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არ ვაპირებთ თანხების გადაარცხვას, რომელიც შესაძლოა, ტერორისტების მომხმარებელსა და შემდგომ უკვე ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განხორციელებას მოხმარდეს," - აღნიშნა ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ეჟუვ ოლმერტმა. ბი-ბი-სი

## უკრაინა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას თხოვნი მიმართავს

უკრაინას განზრახული აქვს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, რუსეთში მეტეხოველიების პროდუქციის ექსპორტის საკითხის გადაწყვეტაში დახმარებისათვის, თხოვნი მიმართოს. კიევმა ასევე თხოვნი უკვე მიმართა საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის მიმართ.

ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ეჟუვ ოლმერტმა განაცხადა.

მისი თქმით, ამ საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გაგზავნილი წერილში აღნიშნულია, რომ რუსულმა მხარემ უკრაინის შექმნილი დირექტორის მოადგილის შოთა მისიურაძის ინფორმაციით, ხაზის ალდენა კლიმატური პირობების გამო ჭიანჭურდება. ამინდის გამოსწორების შეთხვევაში, ხაზის ალდენით სამუშაოები, შესაძლოა, 5 დღეში დასრულდეს.

თანხმება ვეტერინარიის დარგში დღეს-წევრი-ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ და საერთაშორისო კონვენციის საზღვარზე ტვირთების კონტროლის პირობების რეგულირების თაობაზე. რუსეთმა ასევე თხოვნი უკვე მიმართა საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის მიმართ. 20 იანვრიდან აკრძალა. გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ უკრაინის ვეტერინარული სასაზღვრე ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის უსაფრთხოებას, რის გამოც რუსი მომხმარებლისთვის საფრთხე არსებობს. უკრაინელი ექსპერტის შეფასებით, რუსეთში რძის პროდუქციის მეტაბოლიზმის პრობლემის შექმნის რისკი უკრაინის ვეტერინარული სასაზღვრე ვერ უზრუნველყოფს. ვარაუდობს, 50-60 მილიონ დოლარი შეადგინოს. ხორცის მრეწველობა კი თვეში 12-15 მილიონ დოლარს იზარალებს. ინტერპრესნიუსი

## ირანი ბუნებრივი აირის მარაგებით მსოფლიოში ბიორეაქტივად აღიქმება

პირველი გავრცელება

ამ ქვეყნების ბაზარზე დამკვიდრების შემდეგ ირანი ბუნებრივი აირის ექსპორტს ევროპის ქვეყნებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გეგმავს. ირანის ნავთობის სამინისტროს ბოლო განცხადებით, მთელ მსოფლიოში ბუნებრივი აირზე მოთხოვნა

იზრდება და ირანმა ამ შესილ უნდა ისარგებლოს, გამოიყენოს თავისი მარაგები და გაზის ექსპორტიდან სოლიდური შემოსავლები მიიღოს. ამ ეტაპზე, ირანი ცდილობს, გაზის ექსპორტის მოცულობა თურქეთში გაზარდოს, რადგანაც ეს ქვეყანა აუთუხებელია და ის სამომავლოდ ირანული გაზის ევროპაში სატრანზიტოდ გამოიყენება. ირანის გაზის

ნაციონალური კომპანია და თურქული კომპანია "ბუტაშ" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ირანი თურქეთს 25 წლის განმავლობაში 228 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიანდებს. 2001 წელს დასრულდა მილსადენის მშენებლობა და დაიწყო მხარეებს შორის თანამშრომლობა. ირანულ პრესაში ხშირად არის

საუბარი ირანული გაზის კავკასიის ქვეყნებისათვის მიზიდვის შესახებ, სადაც მთავარ ლოკოპოტივად აზერბაიჯანი მოიაზრება. ყურადღება ეთმობა იმასაც, რომ ირანიდან სომხეთში მიმავალი გაზსადენის მშენებლობა ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება. გაზის ექსპორტიორ ქვეყანაში დღე იმდენად ყარებენ ირანი-პაკისტანი-ინდოე-

თის მიმართულების გაზსადენის მშენებლობის დაწყებაზე, რომლის პროექტის დამუშავებაც ახლა მიმდინარეობს. პროექტი მუდამ პერსპექტიულია. ავსტრალიური ფირმა "ბი-ე-პი" ამ გაზსადენის სახელმწიფო, ხოლო იტალიური კომპანია "ენსამპარტეკი" საზღვაო მონაკვეთის სწავლობს. 24 საათი

## საქართველოს მობარაგებლობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ტელეკომპანია

პირველი გავრცელება

გუშინვე გაზით მომარაგება ინტენსიურად ხორციელდება დედაქალაქში. აღსანიშნავია, რომ უახლოეს სამ დღეში გაზით თბილისის 80 პროცენტით დაიბრუნდება. კერძოდ, ბუნებრივი აირის მიწოდება უკვე აღუდგა ყაზბეგის გაზსადენის, ვაკის, ზაგებს, მთაწმინდას, ოქროყანას, ვითაის ქუჩას, ნუცუ-ბიძის ქუჩას, გვლანის ნაწილს, ვახიშვილის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეოთხე (პირველ) და მე-

ოთხე (მეორე) მიკრორაიონებს, ვარკეთილის ნაწილს, ჩუღურეთის ნაწილს, გრანელის, ოსიურის, იარალოვას, ლენტეხის, ჩერქეზივილის, გოცირძის, არაგვისპირელის, აჯამეთის, ჩიქობავას, გორკის, ადრეგინის, წინამძღვრისივილის ქუჩებს; ასევე, აღმაშენებლისა და ვახიშვილის ქუჩების ნაწილს. გაზმომარაგება აღუდგა კრწანისის რაიონის ნაწილს, ზემო და ქვემო ფონიჭალას, წყნეთის გამზირის ნაწილსა და თემქის დასახლებას.

მომხდარი ავარიების გამო ბუნებრივი აირის მიწოდება ვერ აღუდგა დიდი დილმისა და დილმის მასივის მოსახლეობას. აღნიშნული უბნები ბუნებრივ აირს დღეს მიიღებენ. რაც შეეხება ქვეყნის ელექტრომომარაგებას, გაზის იმპორტის ერთდროულად სამი ქვეყნიდან დაწყების მიუხედავად, გუშინ ელექტრომომარაგება მაინც შეზღუდვებით ხორციელდებოდა - დედაქალაქის უბნებისთვის დენის მიწოდება ორ-ორი საათით წყდებოდა. ამის

მთავარი მიზეზი კი, სომხეთიდან აზერბაიჯანიდან დენის იმპორტის შეწყვეტა გახდა. საღამოს სომხეთიდან დენის იმპორტის აღდგენაც იგეგმებოდა, სადაც 110 მეგავატი უნდა შემოსულიყო. ამასთან, თბილისის ელექტრომომარაგებაში არსებული შეზღუდვების მოხსნის მიზნით, გუშინ საღამოს, მეცხრე ენერგობლოკის გამოიმუშავებამ მაქსიმალურ ზღვარს - 270 მეგავატს მიაღწია. "შეზღუდვები შესაძლოა, მთლიანად არ მოიხსნას, მა-



**საქართველოს ტელეკომი**  
**TELECOM GEORGIA**

---

**„საქართველოს ტელეკომმა“ დაიწყო ახალი პროექტი**

**„ცხელი სადელი კათარზისის ხანდაზმულთათვის“.**

**თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარფი უცვლელია).**

**ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის“ უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.**

**ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.**

**ერთად ვაკეთებთ კეთილ საქმე**

**რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge**

**8-10**



# „ტეო-არტი“

## მორიბი გამარჯვებულები



### თავარ დავალი

თუკი თქვენ ხართ ფოტოგრაფი და გაქვთ უფრო ორიგინალური იდეები, ან თუნდაც შემთხვევით "დაიჭირეთ" ორიგინალური კადრი, "ჯეოსელი" შესაძლებლობას გაძლევთ, თქვენი ფოტოგრაფი საზოგადოებას გააცნოთ.

კომპანია "ჯეოსელმა" თავის ერთ-ერთ აბონენტებს საკუთარი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა უკვე შეთავაზებდა. გუმბინ კინო-თეატრ "ამირანში" MMS ფოტოკონკურსის "ჯეო-არტი" გამარჯვებულები გამოვლინდა.

25 დეკემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით, "ჯეოსელის" აბონენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გადაეღოთ ფოტოები შემდეგი ნომინაციების მიხედვით: "სახალწლო სუფრის შედეგები", "მარიაჟი" და "მე მიყვარს". მას შემდეგ, რაც აბონენტები აღნიშნულ სურათებს "ჯეოსელს" გაუგზავნიდნენ ნომერზე 5555, ისინი ავტომატურად ფოტოკონკურსის მონაწილეები ხდებოდნენ.

საბოლოო ვაშში, კონკურსში მონაწილეობის სურვილი 4 000-ზე მეტმა აბონენტმა გამოთქვა. თუმცა, კომპეტენტურმა ჟიურიმ მხოლოდ 30 გამარჯვებული გამოავლინა.

სუთი წლის მარიაჟი საზოგადოების ყურადღების ცენტრში დედამისის ორიგინალური იდეის გამო მოექცა. "მამაჩემი მინისტრია" - ასეთი წარწერა მარიაჟს შუბლზე დედამ გაუკეთა და ფოტოც გადაუღო. სინამდვილეში მარიაჟის მამა სულაც არ არის მინისტრი, ის მუსიკოსია და ჯანსუღ კახიძის ორკესტრში უკრავს.

შორენა გაბუნია მიიჩნევს, რომ მისი მეუღლის პროფესია მინისტრის სავარაუდოდ უფრო საპატიოა. ამ ფოტოში კი მან დღევანდელი საზოგადოების მანიკერი მხარეების გაშარება სცადა.

თუკი აბონენტთა ერთმა ნაწილმა გამარჯვების მოსაპოვებლად ორიგინალური იდეები მოიშველია, დიმიტრი სუბიტაშვილს ამისთვის ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია. რუსთაველის ერთ-ერთ რესტორანში, ძველით ახალ წელს მეგობრებისთვის გადაღებულმა ფოტომ მას ნომინაციაში "სახალწლო სუფრის შედეგები" პირველი ადგილი მოაპოვებინა. პირველით ფოტოგრაფმა "ჯეოსელის" MMS ფოტოკონკურსის შესახებ ტელევიზიით შეიტყო. ძვირად ღირებულმა პრიზებმა იგი იმდენად მოხიბულა, რომ სუფრაზე ჩამოიხინებულ მეგობრებს ფოტო გადაუღო და "ჯეოსელს" გაუგზავნა.

ორიგინალური ფოტოები იყო წარმოდგენილი ნომინაციაზე "მე მიყვარს". მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სიტყვა თითოეულ ჩვენგანში სულ სხვა ასოციაციას იწვევს, ჟიურიმ პირველი ადგილი პატრიოტულ თემაზე გადაღებულ ფოტოს მიანიჭა.

როდესაც ნინო ბახაშვილმა "ჯეოსელის" მიერ ფოტოკონკურსის გამარჯვებულების შესახებ შეიტყო, ამ ზაფხულს ჩაქვნი გადაღებული ფოტო გაასხენდა. ფოტოზე მას აღბეჭდილი აქვს ოსეთიდან აჭარაში დასახლებულად ჩაყვანილი ბავშვები, რომლებსაც შასურებზე შემდეგი წარწერა აქვთ გაკეთებული: "მე მიყვარს საქართველო".

თითოეულ ნომინაციაში ათ-ათი გამარჯვებული გამოვლინდა. პრიზებიდან ყველაზე მომხიბვლელად პირველ ადგილზე გასული აბონენტების

მოზილური ტელეფონი "ნოკია-N-70" და მეორე ადგილის მფლობელების "კოდაკის" ციფრული ფოტოკამერა გამოიყურებოდა. უსაჩუქროდ არც მესამე ადგილის მფლობელები დარჩნენ. მათ ჟურნალ "ანაბეჭდის" ერთწლიანი გამოწერა, ასლარიანი სალაპარაკო დრო და დიპლომები დაიმსახურეს. პრიზები გადაეცათ დანარჩენ მონაწილეებსაც.

როგორც ჟიურის წევრმა პროფესიონალმა ფოტოხელოვანებმა გურამ ნიბახაშვილმა, დავით მესხმა, გიკო დადიანმა და გოგი ცაგარელმა აღნიშნეს, ასობით ფოტოამბუშურიდან საუკეთესოს არჩევა მართლაც გაუჭირდათ. "უამრავი ფოტოებიდ-

ან საუკეთესო ნამუშევარი რამდენიმე პარამეტრის მიხედვით ავარჩიეთ. ყურადღება ექცეოდა იდეას, შესრულებას დონეს და ფოტოგრაფიულობას. მთავარი მაინც ის იყო, რომ ფოტოს სათაურისთვის ეპასუხა. ჟიურის წევრებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. პირადად მე ძალიან მომეწონა ფოტო, რომელმაც ნომინაცია "მარიაჟი" მეხუთე ადგილი დაიკავა. მასზე აღბეჭდილი იყო ერთ-ერთი მანქანის ნომერი და სერია, რომელიც სწორედ იმ "მარიაჟულად" გამოიყურებოდა. ეს ფოტო ჩვენი საზოგადოების მანკიერ თვისებებს შესანიშნავად გამოხატავდა. ფოტო იყო კრი-

ტიკული და, ჩემი აზრით, სოციალურად აქტუალური," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას გურამ ნიბახაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ფოტოკონკურსის მონაწილეთა უმეტესობას მოზარდები წარმოადგენდნენ. როგორც "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორმა ირმა ცქიტიშვილმა გვითხრა, ვინაიდან მოზილოგრაფია ასეთი პოპულარობით სარგებლობს, "ჯეოსელი" გეგმავს, ჯეო-არტი გაზაფხულზეც ჩაატაროს და ეს კონკურსი ტრადიციად აქციოს. სავარაუდოდ, მომავალი MMS კონკურსი გაზაფხულის თემასთან დაკავშირებული იქნება.

**საქართველოს პრეზიდენტის განცხადება**

N 39 2006 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

1. "მაუნტებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის შესარჩევად.
2. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (გარეულაძე) შექმნას კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.
3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვაკანტურ თანამდებობაზე არ დასახელებულა სამი ან მეტი კანდიდატურა, ცხადდება ახალი კონკურსი.
4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი უმაღლესი განათლებით.
5. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატად პირის რეესტრაციისათვის კონკურსის სამდივნოში წარდგენილ უნდა იქნეს:
  - ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;
  - ბ) ავტობიოგრაფია;
  - გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
  - დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ე) ხელწერილი, რომ პირი გაცენო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრისათვის "მაუნტებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს;
  - ვ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
6. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: 0134, ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N 7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, კონკურსის სამდივნო.
7. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან ათი დღის განმავლობაში ქვეყნდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატების სია.

*მიხეილ სააკაშვილი*

**ავერსი AVERSI**

ფარმაცევტული კომპანია "ავერსი" ზამთრის მძიმე დღეებში თანადგომას უცხადებს მოსახლეობას და გრიპის ვირუსის და გაციების საწინააღმდეგო პრეპარატები "ავერსი"-ს ყველა აფთიაქში მთელი საქართველოს მასშტაბით გაიყიდება **20-25%-იანი ფასდაკლებით**

**ეს პრეპარატებია:**

- ეფექტი ფლუ
- გრიპ შოთი
- პიროსალი
- რემანტადინი
- ოქსოლინი
- ოტიპაქსი
- ვიტამინი C ტაბლეტები
- ეფიზოლი
- დოქტორ ტაისის მრავალპარლვას სიროფი
- დოქტორ ტაისის ცხვირის წვეთები

სულ 20-ზე მეტი დასახელება

**ავერსი ლიფარი ლიფარტა შორის**  
გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

**Call Center**

**ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული**

**Tel: (995 32) 24 45 98** **www.cc.ge**

**აშუ საელჩო თბილისში**

2006 წლის 21 იანვარს და 11 თებერვალს აშუ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.

21 იანვარს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი, მონაცემილობები და ფაილის კარდები.**

11 თებერვალს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საფოსტო ავეჯი და მონაცემილობები.**

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეტანილი ნივთების განაწილებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დღის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დღის 11:00სთ-ზე. აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველი ქ. 4, აშუ საელჩოს საწყობის ტერიტორია.** ცნობებისათვის დარეკეთ: 277000 შიდა 7201.

**ყურადღება!**

**დაპირვული საერთაშორისო**

რუსთაველზე (კინოს სახლი) 12-დან 18 საათამდე გათავაზობთ სადღის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგარიგებენ 0,5 ლ ლეონოს (რქანითელი) უფასოდ. გაირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

**ტელ. 999-207**



# დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები

## მარაბ ლორსტიჟანიძე

8 იანვარს, დეტროიტის "კობო სენტერის" საგამოფენო კომპლექსში სტარტი აიღო დეტროიტის მე-18 ჩრდილოეთ ამერიკის საერთაშორისო ავტოსალონი (NAIAS). ტრადიციულად, ავტოსალონი პირველი ორი დღე მასმედიის იყო, მომდევნო ორი დღის განმავლობაში ის საავტომობილო ბიზნესში მომუშავე სპეციალისტთა (ისინი საჭირო კონტაქტებს ამყარებენ და მოლაპარაკებებს აწარმოებენ) განკარგულებაში გადაეცემა. შემდეგ რვა დღის განმავლობაში კი (14-22 იანვარს) გამოფენა დამოუკიდებელმა დაიწყო.

დეტროიტის წლებიდან ავტოსალონს გამოფენას 300 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი უკავია. პავილიონების განსაზღვრა დაიხარჯა დაახლოებით 68 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, რაც სრულიად ეყოფა 750 საფეხბურთო სტადიონის დაფარვას.

ავტოსალონის გასაშუქებლად აკრედიტაცია გაიარა 63 ქვეყნის 7000-ზე მეტმა ჟურნალისტმა. საგამოფენო სტენდების დასაზღაურებლად სულ 15000-ზე მეტი ადამიანი მუშაობდა. ყოველდღიურად კი დამოუკიდებელი ჟურნალისტები და სმოკერები აკმაყოფილებდნენ 1750 სპეციალისტს.

რაც შეეხება ავტოსალონის ექსპონატებს. სულ წარმოდგენილი იყო 700-მდე ავტომობილი, რომელთაგან 19 სერიული ავტომობილის მსოფლიო პრემიერა იყო, 10 – კონცეპტუალური ავტომობილის მსოფლიო პრემიერა, 7 კი – ჩრდილოამერიკული პრემიერა.

ტრადიციას არც ჩვენ დავარღვევეთ. პირველ ორ დეტროიტულ რეპორტაჟში გაეცანით საავტომობილო საყაროს სიახლეებს, შემდგომ კი ყველაზე საინტერესოებს უფრო დანერგვით წარმოგიდგინებ.

### დოკ ჩელენჯერი

"ფორდის" მიერ წარმოდგენილი კამპანია, რომელსაც სპეციალისტებმა "გაცოცხლებული ლეგენდები" შეარქვეს, ერთ-ერთმა პირველმა "დიმიტრი პრინციპალმა", კერძოდ კი, მისმა ამერიკულმა შტო "დოკმა" აიტაცა.

ავტომობილებზე კარგად იციან, თუ რაოდენ დიდი ინტერესი გამოიწვია განახლებულმა "ფორდ მუსტანგმა", როცა მისი კონცეპტუალური ვარიანტი ორი წლის წინ პირველად გამოჩნდა დეტროიტის ავტოსალონზე. დღეს განახლებული "მუსტანგი" უკვე ბესტსელერია და ბუნებრივია, "ცისფერი ოვალის" წარმატებული სვლის გამეორება მისმა კონკურენტებმაც მოინდომეს.

"მუსტანგის" კონკურენტად "დოკს" ძველი "ჩელენჯერი" ეგულვებოდა. სწორედ ეს პოპულარული ავტომობილი გადაამუშავეს კომპანიის დიზაინერებმა და პირველად დეტროიტის ავტოსალონზე წარმოადგინეს. სხვათა შორის, ამ სიახლეს ბევრი სპეციალისტი მოუთმენლად ელოდა, რის გამოც, მწარმოებელმა მის შესახებ ინფორმაცია ავტოსალონის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე გაავრცელა. პოდა, სიურპრიზი აღარ გამოვიდა, თუმცა ამ მშვენიერ ქმნილებას მიიჯერ არ მოჰკლებია დამოუკიდებელთა ყურადღება.

კონცეპტუალური მოდელი ძლიერ ჰგავს ძველ "ჩელენჯერს", თუმცა სრულიად თანამედროვე პლატფორმაზე და აგრეგატები გააჩნია. დიზაინიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაიხვეწა. მოკლედ, "მუსტანგისა" არ იყოს, მას ერთდროულად ძველი იერიც შემორჩა და ახალიც...

### კრაისლერ იმპერიალი

ამ კონცეპტით, რომელიც ძლიერ ჰგავს "როლს როის ფანტომს", ამერიკული კონცეპტი-კიდ ერთი ლეგენდარული მოდელის გაცოცხლებას იწყებს. დეტროიტში არაერთი კონცეპტით, კომპანია აპირებს ლუქსის კლასის სედანების ბაზარზე დაბრუნების პერსპექტივის შესწავლას.

პროექტის მთავარმა დიზაინერმა მაიკ ნიკოლასმა განაცხადა, რომ მის მიერ შესრულებულ სა-მუშაოზე დიდი გავლენა იქონია 1930-იანი და 50-იანი წლების "იმპერიალების", კერძოდ კი ვირჯილ ექსნერის მიერ შექმნილ საჩვენებელ მოდელ "იმპერიალ დ ელვაგანისის" გარეგნობამ.

შედეგი სახეზეა – სედან 300-ის პლატფორმაზე დამზადებულ ამ ავტომობილში ერთი შეხედვით ამოიკნობა მაღალი უკლასის მოდელი, რომელმაც მომავალში კონკურენტული უნდა გაუწიოს ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიცაა "მერსედეს-ბენცი", "ბეივე", "ლექსუსი", "კაილაკი" და სხვა. თუმცა, არც ისა გამოიციხული, რომ "კრაისლერმა" განახლებული "იმპერიალი" სუპერავტომობილების ისეთ მწარმოებლებთან კონკურენციისთვის გამოიყენოს, როგორებიცაა "როლს როისი" და "მაიბახი".

### ლაზორგინი მიურა

ისევ განახლებული ძველი ლეგენდა. ამჯერად კი ევროპიდან. "ფოლკსვაგენის" კუთვნილებაში მყოფი იტალიური კომპანიის ახალმა შეფ-დიზაინერმა ვალტერ დე სილვამ თავად წარუდგინა საზოგადოებას ეს შესანიშნავი ავტომობილი, რომელსაც შექმნიდან 40 წელი შეუსრულდა. დახვეწილი გარეგნობის გარდა, ძველი "მიურა" იმითაცაა გამოირჩეული, რომ ეს იყო "ლაზორგინის" პირველი ავტომობილი, რომელსაც ძრავი ბაზაში (სარბოლი და სპორტული ავტომობილების კლასური შეთანხმება) შპონდა განლაგებული. ფაქტობრივად, სწორედ ამ მოდელით ჩამოყალიბდა ევროპულ ნოდელში სუპერავტომობილების კლასი.

დიზაინერებმა ძველი "მიურას" დიზაინი გადაამუშავეს, აეროდინამიკური პაკეტი შეიმუშვეს, თანამედროვე, ზემოლავი ძრავები და მისი შესაფერისი ტრანსმისიონები.

სითი აღჭურვებს და პირველად ამერიკაში წაიღეს. ეს იმიტომ, რომ სწორედ ამერიკაა "ლაზორგინის" ძირადირებული პროდუქციის მთავარი ბაზარი. და თუ განახლებულ "მიურას" წარმოება უნერია, მას ყველაზე მეტი კლიენტი სწორედ ოკეანის გაღმა ეყოლება.

### ფორდ F-250 სუპერ ჩიდ

"გინდათ პიკაპი? ნამდვილ პიკაპს ახლა წარმოგიდგინებთ", - ასე დაიწყო "ფორდის" დიზაინის დირექტორმა პიტერ პორბერმ თავისი ჯგუფის მიერ შექმნილი ახალი შედეგის, 6.7-მეტრიან პიკაპ "სუპერ ჩიდის" წარდგენა. ეს ავტომობილი კოლოსალური გაბარიტებით, აგრესიული გარეგნობით და ლიმუზინისთვის დამახასიათებელი კომფორტით გამოირჩევა.

ავტომობილი "ფორდის" ახლებური დიზაინერული კონცეპციის მიხედვითაა შექმნილი. ის გამოირჩევა უზარმაზარი რადიატორით და მასში ჩადგმული დიდი ემბლემით, ბორბლის მაღალი თაღებით, დაღარული სახურავით, რომელზეც, ყოველი "ლაზორგინის" ბოლოში მანათობელი დიოდები მოთავსებული. არანაკლებ მონუმენტურია ავტომობლის უკანა ნაწილიც.

მთავარი კი მისი "შიგთავისი" – "სუპერ ჩიფი" აღჭურვილია უნივერსალური ძრავით, რომელსაც ყოველგვარი მოდერნიზაციის გარეშე შეუძლია სამწიფო სანავიგაციო მუშაობა. ეს არის მექანიკური დამჭირებით აღჭურვილი 6.8-ლიტრიანი V10, რომლის სიმძლავრე 310 ცხენის ძალას აღწევს. ძრავი მუშაობს როგორც ჩვეულებრივ ბენზინზე, ისე წყალბადზე და ეთანოლზეც.

### ფორდ რეველქი

დეტროიტის შარშანდელ ავტოსალონზე "ფორდმა" წარადგინა მეტად ორიგინალური, უფრო კი უცნაური გარეგნობის მქონე კონცეპტუალური მოდელი სახელად "სინუსი". მაშინ კომპანიის მარკეტოლოგებმა საზოგადოებას განუმარტეს, რომ ეს არის მათი ხედვა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მცირე, საქალაქო ავტომობილი.

"ცისფერმა ოვალმა" მცირე ავტომობილის თემა ამჯერადაც გააგრძელა კონცეპტუალური "რეველქით", რომელსაც პრეზენტაციის დროს "ფორდის" დიზაინის შეფმა ჯეი მისმა უწოდა "კიდევ ერთი ნიმუში იმისა, თუ "ფორდის" ხედვით, როგორი შეიძლება იყოს ამერიკული პატარა ავტომობილი".

"სუპერჩიფის" მსგავსად, "რეველქისაც" დიზაინის გარდა ისიც გამოირჩევა, რომ ის პიბრიდული ავტომობილია აღჭურვილი. მის კაპოტქვეშ განლაგებულია ტურბოდიზელისა და ელექტრომტორის პიბრიდი. ეს არის ეკოლოგიურად სუფთა სპორტული ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდა წყვილებისთვის ან ახალგაზრდა ოჯახებისთვის.

ავტომობილს ორი დიდი კარი აქვს, რომლებიც მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით იხსნება. მათი მშვენიერება, ადამიანი იოლად აღწევს უზარალო სალონში, სადაც თეთრი ფერი დომინირებს. დიზაინერები ინტერიერში ბევრ ისეთ გადაწყვეტას გვთავაზობენ, რომლებიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევს კონკურენტულ მოდელს. თუმცა, ზოგიერთ ტექნოლოგიას სრულიად რეალური პერსპექტივა გააჩნია. მთავარი კი სულ სხვაა.

კერძოდ, ბევრმა სპეციალისტმა დეტროიტში მოდელ "რეველქის" გამოჩენის შემდეგ ივარაუდა, რომ "ფორდი" ამერიკული ბაზრისთვის მცირეგაბარტიანი ავტომობილების მთელი კლასის წარმოებას აპირებს. ამ ავტომობილების სიგრძე ოთხ მეტრზე ნაკლები იქნება და ისინი მომავალში სხვა ქვეყნების ბაზრებზეც გავლენ.

### შევროლე კამარო

თუ ახალ "მუსტანგთან" კონკურენციისთვის "კრაისლერი" "დოკ ჩელენჯერს" ამზადებს, "ჯენერალ მოტორისთვის" ასეთ მოდელად შეიძლება იქცეს განახლებული "შევროლე კამარო", რომელიც მსოფლიოს გერაც უდიდესი ავტოკონცერნის საგამოფენო პავილიონს ამშვენებდა.

პროექტის შეფმა ტომ პიტერ-რობბეს მკაფიო, უხეში შტრიხები, რომლებიც ავტომობილის სილიონურს უსვამენ ხაზს. ამ შემთხვევაში დიზაინერებს დიდი ორიგინალიზაცია არ გამოუჩენიათ – მათ უბრალოდ დაამუშავეს და გაათანაბრეს 1969 წლის "კამარო".

შედეგად, ავტომობილი საკმაოდ არაპროპორციული გამოვიდა. ამას ხაზს უსვამს უზარმაზარ ბორბლებთან "შესამბეული" ვიწრო შუშები. წინა მამუქები ბამპერსა და კაპოტს შორისაა ჩამალული. კარის უკანა ბოლოდან კი იწყება უკანა ბორბლის თაღში გარდამავალი ფრთახსნელობა, რაც ავტომობილს აგრესიულ-სპორტულ იერს სძენს.

ავტომობილმა დამოუკიდებელი ბელთა მონონება კი დაიმსახურა, მაგრამ "გენერლების" ხელმძღვანელთა გულები მაინც ვერ დაიპყრო. უფრო სწორედ, დეტროიტში წარმოდგენილ კონცეპტში მათ ის ვერ დაინახეს, რისი ხილვაც სურდათ. და... პროექტი სადიზაინერო სტუდიას დაუბრუნეს, რათა იქ მან სრულყოფა გაიაროს და დასრულებული სახით, მერმის დაუბრუნდეს დეტროიტის ავტოსალონს.

### აუდი როუდტექ

ერთი შეხედვით, ძნელი სათქვამელია, თუ რომელ კლასს მიეკუთვნება ეს ავტომობილი. პრინციპში, ის არც უნივერსალია და მი-თუმეტეს, არც დანდი. უფრო ჰქმნის ჰგავს, თუმცა როგორც ირკვევა, ეს არის მომავალი კომპაქტური უგზობის ავტომობილის (სავარაუდოდ, Q5) პროტოტიპი, რომლის გამოშვებასაც "აუდი" უახლოეს მომავალში გეგმავს.

ამ ავტომობილის გარეგნობაში, პირველ რიგში იგრძნობა კომპანიის (აუდი ფოლკსვაგენის ჯგუფის წევრია და ზუგატისთან, ბენტლისთან და ლამბორგინისთან ერთად, ერთ, ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელ შტოს ქმნის) სადიზაინერო განყოფილების შეფ ვალტერ დე სილვას ხელი. მის მიერ შემუშავებული ახალი საფორმი ნიშანი ნაჭრილი V-ს ტიპის, დიდი ზომის რადიატორებია. პოდა, "როუდტექს" პირველ რიგში, სწორედ ასეთი რადიატორი გამოარჩევს.

"ფოლკსვაგენის" დირექტორთა საბჭოს შეფ ბერნდ მიმეტსნი-დრს არც დაუმალავს, რომ მისი კონცერნი უგზობის კომპაქტური ავტომობილის წარმოებას აპირებს. უფრო მეტად, მან განაცხადა, რომ Q5 დეტროიტისთანვე ენევა ამჟამის ბაზარს.

### ასტონ მარტინ რაპიდი

ეს ავტომობილი დამსწრეებს კომპანიის დირექტორმა ულრიხ ბეცმა წარუდგინა და განაცხადა, რომ ეს არის ყველაზე პრაქტიკული ავტომობილი, რაც კი ოდესმე დაუმზადებია "ასტონ მარტინს". "რაპიდი" ბაზირებულია კუპე DB9-ის პლატფორმაზე და ამაკარა, რომ მალე შეავსებს "ფორდის" ხელში მყოფი ინგლისური მარკის საზოგადოებრივ გამოყენებას. მისი გარეგნობა "ასტონ მარტინის" მთავარ დიზაინერ მარკ რაიხმანის შემოქმედების ნაყოფია და თითქმის ათიდან ბოლომდე იმორებს DB9-ის დიზაინს. პირველ რიგში, მათ კარბთა რადიანობა და აქედან გამომდინარე, სიგრძე განასხვავებს. გარდა ამისა, "რაპიდის" რადიატორი ბამპერს ქვემოთაა ჩამოცილებული. თუმცა, ეს მხოლოდ მცირე დეტალებია მთლიანობაში არ ცვლება DB9-ის სტრუქტურაში.

ინტერიერში, როგორც "ასტონ მარტინის" მოდელს ეკადრება, ყველაფერი სუპერკლასისაა. მდიდრულობა, კომფორტი და პრაქტიკულობა შესანიშნავად შეერწყმულა. თქვენ წარმოიდგინეთ, ხელსაწყოთა დაფის ზედა ნაწილი ზვიგენის ტყავითაა განწყობილი, რაც ისაღველ ავტონარმოებაში.

"რაპიდის" წარმოების დაწყებამდე ჯერ კიდევ ადრეა. და როცა ის ბაზარზე გამოჩნდება, კონკურენტისა გაუწევს "პორეის" ოთხკარანი მოდელს, რომლის წარმოების დაწყებასაც გერმანული კომპანია მალე აპირებს.

### ვოლვო C30

ამ კონცეპტუალური ავტომობილის საწარმოოდ გაზაზადებული ვარიანტის მსოფლიო დებიუტი მოგვიანებით, პარიზის ავტოსალონზე შედგება. C30-ის მშვენიერებით, "ვოლვო" დაუბრუნდება ევროპული სტანდარტებით პრემიუმ C-კლასს, სადაც ლიდერობა "აუდი A3-ს" უყვია.

დეტროიტში წარმოდგენილი კონცეპტუალური ავტომობილი პრაქტიკულად "ვოლვო S40-ის" შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს. თუმცა, C30 შეჩვენია და შესაბამისად, S40-ისგანაც უკანა ნაწილი განსხვავდება, რითაც შარშანდელ კონცეპტუალურ 3CC-ს და 2001 წლის ასევე კონცეპტუალურ SCC-ს მოგვაგონებს.

"ვოლვოს" ახალი პრეზიდენტისა და აღმასრულებლის, ფრედერიკ არბის თქმით, როცა ბაზარზე გამოვა, C30 განკუთვნილი იქნება მეტწილად ახალგაზრდა მყიდველისთვის, რომელიც შე-

დური მარკის ერთგულია, მაგრამ აქამდე ვერ ახერხებდა მისი კომპაქტური ავტომობილის შექმნას, რადგან ასეთი ბუნებაში არ არსებობდა.

### ფერარი 599 GTB

არა, იტალიურ კომპანიას ეს ავტომობილი დეტროიტში არ წარუდგენია, "კობო სენტერში" მანარელოვლდა სტენდს მხოლოდ რბოლებისთვის განკუთვნილი ბოლიდი FXX ამშვენებდა. სამაგიეროდ, კომპანიის წარმომადგენლებმა თავიანთი მარკის ფანებს ახარეს, რომ ახალი, ყველაზე

მძლავრი "ფერარის" დებიუტი შეენევაში შედგება და იქვე დაიწყება მასზე შეკვეთების მიღება.

ახალი ავტომობილის სახელად შეარჩიეს 599 GTB (GTB – გრანდ ტურერ ბერლინგეტა). მან კომპანიის საზოგადოებრივი უნდა შეცვალოს უკვე მოძველებული "575 მარანელი", რომელსაც "ფერარი" 1996 წლიდან უშვებს. ამ ავტომობილზე ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის 620 ცხენისძალიანი V12 ძრავითაა აღჭურვილი და მისი მშვენიერობა 330 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.



კრაისლერის "მეტი ტომ ლასორდა" დოკ ჩელენჯერს წარმოადგენს.



იმპერიალი "კრაისლერის" ახალი ფლაგმანი იქნება.



მიურა - ლამაზიზამანი ლამაზიზამანთა გარემოცვაში.



სუპერ ჩიდ - საოცნებო პიკაპი.



ფორდი ახალი რეველქის გამოშვების იწყებს.



ახალი კამარო მავარია. მაგრამ გენერლებს უკეთესი სურთ.



აუდი უგზობის როუდტექს კონცეპტისთვის ამზადებს.



რაპიდი "ასტონ მარტინის" ახალი სუპერგარსკვლავია.



C30-ით ვოლვო ბაზრის ახალ სეგმენტს ათივისებს.



მაღე 599 GTB ყველაზე სწრაფი ფერარი გახდება.



# აზერბაიჯანელი სტუდენტები გამარჯვებას ზეიშობენ

## ყაზარდო-ბალყარეთის სიხიდან ეკვიტანილი ბაჰინარდა

ბაქოში სტუდენტებმა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის შემდეგ მიმშვილობა შეწყვიტეს.

ილრამ აბასოვი, ბაქო

22-დღიანი შიმშილობის შემდეგ უნივერსიტეტიდან გარიცხული ორი აზერბაიჯანელი სტუდენტი ლექციებზე ისევ დაუშვეს. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ მათ პოლიტიკური მოსაზრებების გამო დევნიან. ამ შემთხვევაში, რომელიც არჩევნების შემდეგ მოხდა, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მომხდარი პრეზიდენტი ილჰამ ალიევის ადმინისტრაციის ოპონენტებიც აღინტერესდნენ. ხელისუფლება,

საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. მეორე დღეს ამავე საავადმყოფოში მამედოვიც მოხვდა. ორი დღის შემდეგ ჰოსპიტალიზებული იყო ალიევი, ხოლო პრეტენსის 21-ე დღეს საავადმყოფოში მოხვდა ფეიზიევიც, რომელმაც გონება დაკარგა. „სასწავლებელიდან იმიტომ გავიკეცი, რომ აქციის დაწყებამდე „აზადლიგის“ (ოპოზიციური ბლოკის) პლაკატებს ვაკრავდით. ამის შესახებ რექტორმა ბრძანებულე-ბაში თავადვე დანერა“, - უთხრა „ახალი აზრი“ აქტივისტი ემილ მამედოვი. „დასამძვლებელი ვიცი, რომ ყველა უნივერსიტეტის რექტორს ოპოზიციის მხარდამჭერი სტუდენტების ე.წ. შავი სია აქვს. დარ-

ნაგრობდნენ მტკიცებას, რომ სტუდენტების სასწავლებლებიდან გარიცხვას მათ პოლიტიკურ შეხედულებებთან საერთო არაფერი აქვს. „ისინი იმის გამო გარიცხეს, რომ გამოცდები ვერ ჩააბარეს“, - უთხრა მარდანოვმა ყურნალის მატეტი თუ ადამიანის უფლებათა დამცველები განათლების მინისტრს მარდანოვს შეხედნენ. შეხვედრიდან სათანადოების შემდეგ სტუდენტთა საპროტესტო აქციის მხარდასაჭერად ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრმა საიდა ჰოჯამანლიმ გამოაცხადა - „ჩვენ გ ა ვ ი მ ა რ ვ ე ვ თ !“. მისი განმარტებით, იმის გამო, რომ სტუდენტებმა თითქმის ექვსი თვე გააცდინეს, ნინა უსრზე დაბრუნება მოუწევთ. შეხვედრამდე ერთი დღით ადრე აზერბაიჯანის ცნობილი საზო-

არული არ შეეძლო, თავის აწევას კი ძლივს ახერხებდა; სახის მარჯვენა მხარეს უმეცხველი სისხლჩაქცევა ჰქონდა, თვალები - ჩასისხლიანებული, თავი - დეფორმირებული, მარჯვენა ფეხი - მოტყეხილი, ხოლო ხელებზე კი ღია ქროილობები ჰქონდა“, - ამბობს კომისაროვა.

ლიზა ორასაია, ნალჩიქი

რასულ კუდაევის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მათი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, რის გამოც გასულ წელს მუამოხეების მიერ მოწყობილ თავდასხმებთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს. მათი აზრით, რასული, უბრალოდ, განცდების ვაცად აქციეს. პატიმრის მშობლები ამტკიცებენ, რომ ნალჩიქის ციხეში მათ შვილს ანამებდნენ, მისი გაუჩინარების შემდეგ კი შიმშილებს, რომ რასული, შესაძლოა, ცოცხალი აღარც იყოს.

მომხდარის შესახებ ხელისუფლება კომენტარს არ აკეთებს და არც გაუჩინარებული პატიმრის ბედ-იხსნაზე ამბობს რამეს. ყაზარდო-ბალყარეთის სოფელ ხასანიაში დაბადებული კუდაევი 2001 წელს ავღანეთში გაემგზავრა - როგორც თავად ამბობდა, ისლამური განათლების მისაღებად. აშშ-ის ავღანელმა მოკავშირეებმა კუდაევი და რუსეთის რამდენიმე მოქალაქე მაშინ დააკავეს, როდესაც მოკავშირეთა კოალიციამ აშშ-ის ხელმძღვანელობით თალიბანის წინააღმდეგ ოპერაცია წამოიწყო. ავღანელმა ისინი ამერიკელებს გადასცეს. რამდენიმე თვეში ჯგუფი გუანტანამოში გაიგზავნა.

2004 წლის თებერვალში კუდაევი ოპოზიციის ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბევრი სტუდენტი უჭერს მხარს. ასეთი განცხადებები პოლიტიკური დისკრიმინაცია და სხვა არაფერი“, - დასძინა მან. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 21 წლის სტუდენტი სევიფ ბაგიროვა ამბობს, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო სტუდენტებს ხშირად დევნიან.

„ცოტა თუ შეძლებს უარი თქვას „იენი აზერბაიჯანში“ განცვირებისა და მის მიტინგებში მონაწილეობაზე. გამოცდების დროს პრობლემები არავის სჭირდება“, - დასძინა სევიფი. „იენი აზერბაიჯანის“ აღმასრულებელი მდივანი და პარლამენტის სპიკერის მოადგილე ბაჰარ მურადოვა არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სტუდენტებს პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნიან.

„საქმე ისაა, რომ ლექტორები სტუდენტებს არა მხოლოდ ცოდნას გადასცემენ, არამედ პატრიოტობასაც ასწავლიან. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა მოძრაობა „იენი ფიკრის“ წევრის რუსლან ბაშირლის მსგავსი შეცდომები არ დაუშვან. მან იმდენად ღრმად შეტოვა, რომ ფაქტობრივად სომხეთის სპეცსამსახურებზე მუშაობა დაიწყო“.

2005 წლის ივლისში დაპატიმრებული ბაშირლის სომხეთის სპეცსამსახურებისგან აზერბაიჯანში გადატარდა ორგანიზების საფასურად 2000 აშშ დოლარის ოდენობით ქრამის ადუბაში დასდეს ბრალი.

„ხელისუფლება რუსლან ბაშირლის კარტის გათამაშებს ჩქარობს, რათა ლიბერალურად განწყობილ ახალგაზრდობაზე ზეწოლა მოახდინოს“, - თქვა პოლიტიკურმა მიმომხილველმა ზაურ იბრაჰიმოვმა.

„ვიცი, რომ რეპრესიები ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ სტუდენტებმა დაამტკიცეს, რომ აზერბაიჯანის ახალგაზრდობა მზადაა, ყველაფერს გაუძლოს დემოკრატიისა და საპარტიანობის დასაცავად. და თუ საჭირო იქნება, მზად ვართ, ამ ბრძოლას საკუთარი ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი შევუწოდო“, - ამბობს ახალგაზრდული მოძრაობა „იენი ფიკრის“ თავმჯდომარის მოადგილე საიდ მურედი.

www.iwpr.net



AZERPHOTO.COM



AZERPHOTO.COM

აზერბაიჯანელი სტუდენტები შიმშილობის აქციაზე

უარყოფს, რომ უკან საერთაშორისო ზემოქმედების გამო დაიხია და ამტკიცებს, რომ სტუდენტების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას „ჰუმანიტარული“ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. 19 იანვარს განათლების მინისტრის მისი მარადმოვლის ბრძანებით, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ტურან ალიევი და აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი ნამიკ ფეიზიევი ხელახლა დაუშვეს თავიანთ სასწავლებლებში. თუმცა იმ მიზეზით, რომ რამდენიმე თვე გააცდინეს, ორივე მათგანი ერთი კურსით უკან ჩარიცხეს. უნივერსიტეტების ხელმძღვანელობის მტკიცებით, ალიევი და ფეიზიევი „ისტუმბურად გააცდინების გამო“ გარიცხეს. ორივე სტუდენტი ოპოზიციური პარტიის „ახალზო ფორნის“ წევრია. ისინი ოპოზიციის მიერ მოწყობილ საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ, რომლებიც არჩევნების დროს მომხდარ დარღვევებს მოჰყვა.

მშვიდობიან რეველუციებში წამყვანი როლი შეასრულეს. მოშიმშილეების ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ჰუსეინოვი, რომელსაც შიმშილობის მეჩვიდმეტე დღეს თირკმელები ასტკივდა, ნავიევის სახელობის სასწრაფო დახმარების

წმუნებული ვიყავით, რომ რეპრესიებს განახორციელებდნენ. ჩვენმა საპროტესტო აქციამ ხალხის ყურადღება მიიქცია“, - თქვა ტურან ალიევი. მართლაც, სტუდენტების აქცია დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 19 იანვარს ეუთო-ს ბაქოს ოფისის

გადამოვანებმა და უცხოელმა დიპლომატებმა სტუდენტები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საპროტესტო აქციის შეწყვეტის აუცილებლობაში დაარწმუნეს. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ოფიციალური პირები კვლავ გა-







# ბანკსადაც ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სანავა-საპოხი მასალების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.  
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

ლოტი N	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მინიმალური გრადუსი	მინიმალური ადგილი
1	ბენზინი რეინდუარი	ლიტრი	339000	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
2	ბენზინი სუპერი	ლიტრი	10000	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
3	დიზელი ლ-62	ლიტრი	565770	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
4	ავიანავი ტს-1	ლიტრი	200000	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
5	ზეთი ძრავის დიზელი 34	კვ	5000	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
	ზეთი ძრავის ბენზინი 20/50	კვ	3000	01.03.06-20.12.06	
	ზეთი ძრავის - სანდუკი ტრანსპორტის	კვ	70	01.03.06-20.12.06	
6	ზეთი ტაღ 17	კვ	360	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
	ტრანსპორტის მაღალი ხარისხის ზეთი	კვ	40	01.03.06-20.12.06	
7	ტატილი-ლიტოლ-20	კვ	800	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
8	ანტიფორზი-ტასილ-40	ლიტრი	3000	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
9	სამუხრუჭე სითხე დი-ტ	ლიტრი	150	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
10	ბ-3ვ	კვ.	600	01.03.06-20.12.06	ქ. თბილისი
	აბგ	კვ.	300	01.03.06-20.12.06	
	გო-12	კვ.	100	01.03.06-20.12.06	
	მს-20	კვ.	400	01.03.06-20.12.06	
	ოკ	კვ.	15	01.03.06-20.12.06	
	ნა-50	კვ.	50	01.03.06-20.12.06	
	მს-83	კვ.	100	01.03.06-20.12.06	
	ტს-ეიპ	კვ.	100	01.03.06-20.12.06	
	ბ-70	კვ.	200	01.03.06-20.12.06	
	ციატოი	კვ.	600	01.03.06-20.12.06	

ბენზინი და დიზელი უნდა მიენოდოს დეპარტამენტს ყოველდღიურად ავტოგასამართი სადგურების მეშვეობით ტალონური სისტემით, არსებული ქსელის ფარგლებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

